

მარიამ ფიფია

Bilateral გაცვლითი პროგრამის მონაწილე (Istanbul Bilgi University)

კავკასიის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (CSH)

„როდესაც გავიგე, რომ გაზაფხულის სემესტრს სტამბოლში, ბილგის უნივერსიტეტში გავატარებდი, მოვიძიე ყველა ინფორმაცია, ვათვალიერებდი კამპუსს და დიდი სიხარულით ველოდი, როდის დაიწყებოდა სასწავლო პროცესი. ჩამოსვლისთანავე ვეწვიე უნივერსიტეტს, მართლაც, ყველა მოლოდინს გადააჭარბა, რადგან საინტერესო ინფრასტრუქტურასთან ერთად, უნივერსიტეტის ნაწილს თავისი ისტორია აქვს და ამჟამად მუზეუმიცაა. ბილგის ყოველი დეტალი გამორჩეულია.

ვსწავლობ ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე და შემიძლია ვთქვა, რომ ბილგის უნივერსიტეტში ეს პროგრამა გამორჩეულია, რადგან ყველა საგანს ლექტორები მეტად საინტერესოს ხდიან.

ევოლუციური ფსიქოლოგია გამორჩეული საგანია, რადგან ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესოა, ადამიანის განვითარება ევოლუციური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით რა მნიშვნელოვან გავლენებს მოიცავს და როგორ ხსნის ქცევას. ამ სემესტრში კი საშუალება მომეცა ამ მიმართულებით გავიღრმავო ცოდნა.

რაც შეეხება სტუდენტურ ცხოვრებას ბილგის უნივერსიტეტში საკმაოდ აქტიურია. სხვადასხვა სტუდენტური კლუბები გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებიც ყოველთვის სახალისოა.

საზღვარგარეთ ყოფნისას თავისუფალ დროს უმეტესად ვუთმობ სტამბოლის ღირსშესანიშნაობების უკეთ გაცნობას. ყოველი დღე ახალი აღმოჩენებითა და თავგადასავლებითაა სავსე, რაც ძალიან მაბედნიერებს.

საბოლოოდ ვიტყვი, რომ თვითგანვითარებისთვისა და კომფორტის ზონიდან დაღწევის საუკეთესო შესაძლებლობაა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. აქ შექმნილი გამოცდილება შეუდარებელია, დაგროვებული მოგონებები კი სამუდამო.“